



21 07 2009
430.170.000-22-022.013.296

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 507

დ. თბილისი, 2009 წ. 20 07

„საქართველოს საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების, სასწავლო დღეებისა და არდადეგების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობის, არდადეგების დროის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 5 სექტემბრის №759 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გბრძანებ:

მუხლი 1. „საქართველოს საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების, სასწავლო დღეებისა და არდადეგების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობის, არდადეგების დროის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 5 სექტემბრის №759 ბრძანებაში (სსმ III, 16.09.2008 №137, მუხ. 1346) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო წელი დაიწყოს 10 სექტემბრის მომდევნო ორშაბათს და დასრულდეს არა უგვიანეს ივნისის თვის მესამე პარასკევს.“;

2. ბრძანებას დაემატოს 1¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1¹. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ სასწავლო წელს 10 სექტემბერი ემთხვევა ორშაბათს, სასწავლო წელი დაიწყოს 10 სექტემბერს.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკა გვარამია

მინისტრი